რუბრიკები

(ავტორები: ფრიდონ ქარდავა, მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე)

რას მოგვითხრობს უძველესი ფოტო?



არშაკ ტერ-ხაჩატურიანცის ფოტო შესაძლოა იყოს ყველაზე ძველი სურათი, რომელიც დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოში.

ფოტო გადაღებულია გეორგი გრიგოლის ძე ეგოროვის მიერ (ფონდი ი-9; აღწერა 2; საქმე 11; ფურცელი 2). სურათზე არ აწერია გადაღების თარიღი, თუმცა ცნობილია, რომ ფოტოგრაფი გიორგი ეგოროვი გარდაიცვალა 1892 წელს. ე.ი. სურათი მანამდეა გადაღებული.

არშაკ ტერ-ხაჩატურიანცი ბათუმის სომხური საეკლესიო-სამრევლო სკოლის მათემატიკის მასწავლებელია. იგი 1893 წლის 30 აპრილს, მიმართავს ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს თხოვნით, რომ დაუშვან სპეციალურ გამოცდაზე, რათა ოფიციალურად მიიღოს „საქალაქო სამრევლო სკოლის მასწავლებლის“ წოდება. იქვე უთითებს, რომ დამთავრებული აქვს თბილისის ცნობილი ნერსესიანის ექვსკლასიანი სასულიერო სემინარია და მზადაა, მოთხოვნისთანავე წარადგინოს ატესტატი (ფონდი ი-9; აღწერა 2; საქმე 11; ფურცელი 1).

როგორც ჩანს, არშაკს სურათი წინასწარ ჰქონდა გადაღებული. საინტერესოა, ასე მალე, ოთხიოდე დღეში როგორ მოუვიდა თანხმობა - იმდროინდელი ბიურკატიის პირობებში? კია გასაკვირი, მაგრამ ფაქტია, 4 მაისს მიიღო დასტური:

Свидѣтельство

Дано сіе отъ меня, Помощника Кутаисскаго Военнаго Губернатора, Учителю Батумской Армянской школы Аршаку Теръ-Хачатурянцу, въ томъ, что онъ, Теръ-Хачатурянцъ, въ политическомъ отношеніи благонадеженъ, ни къ какимъ тайнымъ обществамъ и сектамъ не принадлежитъ, и ни въ какихъ предосудительныхъ поступкахъ замѣченъ не былъ; въ чемъ подписью и приложеніемъ казенной печати удостовѣряется. Мая 4 дня 1893 года Гор. Батумъ.

Помощникъ Кутаисскаго Военнаго Губернатора Генералъ-Маіоръ (подпись)

Дѣлопроизводитель (подпись, похоже на А. Димитріев) (ფონდი ი-9; აღწერა 2; საქმე 11; ფურცელი 4).

მოკლედ, სურათი არის 1892 წლის 26 ოქტომბრამდე გადაღებული, რადგან ამ დროს დაიღუპა ნეტარხსენებული ფოტოგრაფი ეგოროვი, 25 წლის ასაკში ავბედითი დაავადებით (ჭლექი).

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ეს ეგოროვი თავისთავად გახლდათ საინტერესო ადამიანი თავისი ატელიეთი, რომელიც მდებარეობდა მარიას გამზირზე, მიქაელ მთავარ-ანგელოზის ტაძრის მოპირდაპირედ, მაშინდელ 15 ნომერში, აიშე ხანუმის სახლში (ფონდი 6; აღწერა 1; საქმე 559; ფურცელი 46).



გათვითცნობიერებული მკითხველი წამსვე იკითხავს, კი მაგრამ იქ ხომ მიხეილ გლაუდანის ატელიე მდებარეობდა?!

საქმე ისაა, რომ გეორგ ეგოროვის გარდაცვალების შემდეგ, მისი ნეტარხსენებული ქვრივი ვერა პეტროვნა ეგოროვა მეორედ დაქორწინდა პატივცემულ მიხეილ გლაუდანზე. ვერას გეორგისგან დარჩა ქალიშვილი - ვარვარა ეგოროვა. როგორც ჩანს, გლაუდანისგან მას შვილი არ ჰყოლია.

ეგოროვის გარდაცვალების შემდეგ ატელიე 1900 იანი წლების დასაწყისამდე ატარებს **ვერა პეტრეს ასულ ეგოროვას სახელს,** შემდეგ კი (სავარაუდოდ 1904 წლიდან) ატელიეს ჰქვია ვ.პ. **გლაუდანი** (ფონდი ი-6; აღწერა 1; საქმე 72).

საინტერესოა, რომ თავად ეგოროვს ეს ატელიე ერგო ანტონოპულოსგან. ანტონოპულო ის ფოტოგრაფი იყო, ვინც საგანგებოდ მოიწვიეს ოდესიდან იმპერატორის ბათუმში ვიზიტისას სურათების გადასაღებად.

ეგოროვს ერისთავისა და ქართულის (მაზნიაშვილისა და ახმეტელის კვეთა) შესახვევში სხვა ატელიეც ჰქონია.

თუ როგორ გახდა ანტონოპულოს ატელიეს მფლობელი ბატონი ეგოროვი, ალბათ ცალკეა შესასწავლი. რაც შეეხება ჩვენ დოკუმენტებს, მათგან მთავარია თვითონ ეგოროვის მიერ გადაღებული ბათუმელი მასწავლებლის არშაკის ფოტო და ამ ფოტოს ვერსო, უკანა მხარე, სადაც არის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია დატანებული, კერძოდ; ის რომ ეს იყო ანტონოპულოს ყოფილი ატელიე, მდებარეობდა ტაძრის მოპირდაპირედ და თვითონ ფოტოგრაფიული პასპარტი დაბეჭდილია ოდესაში იოსებ პოკორნის ლითოგრაფიაში.

საქმეში არის დოკუმენტის ასლი, რომელიც ეხება ნეტარხსენებული ეგოროვის ყოფილ ოჯახს: ქალიშვილი, სახელად ვარვარა. მამა - კიშინიოვის მოქალაქე გეორგი გრიგოლის ძე ეგოროვი, დედა - ვერა პეტრეს ასული. ნათლობის დოკუმენტს ხელს აწერს სასულიერო პირი, ბათუმელი მღვდელი ალექსანდრე რალცევიჩი. მედავითნედ მითითებულია გერასიმე ლორია.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026


МЕТРИЧЕСКОЙ КНИГИ

ГОДЪ, ЧАСТЬ ВТОРАЯ, О РОДИВШИХСЯ.

საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი


***

მეეტლეთა ნიხრები ბათუმში

საარქივო სამმართველოში დაცულია 1927 წლის დოკუმენტი, რომელშიც მეეტლეთა ნიხრებია გადმოცემული. ჰოდა, ასი წლის წინათ, იცით ტაქსის როგორი ნიხრები იყო ბათუმში? კი ბატონო, არ იყო ახლანდელი ტაქსები მაშინ, მეეტლეებზეა საუბარი, მაგრამ სულისკვეთება მაშინდელ მეეტლეებსა და დღევანდელ ტაქსისტებს ერთი ექნებოდათ, სახელოს მსახურთა ზნეს რა შეცვლიდა ახლა?

მაშ ასე, რკინიგზის სადგურიდან და „ნავთსაყუდებიდან“ წამოსვლა ქალაქისკენ ერთ გზობაზე დაგიჯდებოდათ 75 კაპიკი;

აი, სადგურში და ნავთსაყუდებზე მისვლა მატარებლის და გემის გასვლის დროს 50 კაპიკია. ხო, ახლა რომ შევადაროთ, მატარებლის ჩამოდგომის დროს ტაქსის ფასები... აბა, რა გითხრათ, შეიძლება თირკმლის გაყიდვა თუ არა დაქირავება დაგჭირდეთ, აი წვიმაც თუ დაერთო მაშინ... ნუ მკითხავთ, კი იცით ისედაც.


მეეტლეთა ნიხრი.

მახინჯაურამდე და კახაბრამდე ერთი საათი 2 მანეთი, მწვანე კონცხამდე 2,5 მანეთი.

ღამის 12 საათიდან დილის 6 საათამდე კიდევ ორმაგდება ფასებიო ძვირფასმა ნიხრის დამდგენებმა...

ზოგადად კი, დღისით ქალაქში ტარება, თან გაჩერებებით, საათში 1.50 მანეთი დაუჯდებოდათ ჩვენი ქალაქის მცხოვრებთ...

საერთოდ კი, აბა რას ვაგრძელებ, თავად გადახედეთ დოკუმენტს, გვგონია რომ საინტერესოა ფრიად.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

***

ფოლიანტები რუსეთის მიერ ოკუპირებულ მამულებზე ,,დევნილი ცხენები"


ოკუპაცია და დევნა არ გვიკვირს ქართველებს, ჩვენი ქვეყანა ამის მეტს რას მოსწრებია თავისი სამიათასწლიანი ისტორიის მანძილზე, მაგრამ თითქოსდა უფრო დამთგრუნველად ჩაგვესმის ყურში, როდესაც ლტოლვილ ცხენებზეა საუბარი.


ერთი ფარატინა საარქივო ცნობაა და რამდენის დამტევი:

1921 წელს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაციისას, სოხუმიდან ევაკუაციის დროს ბათუმელი ცირკის მეპატრონე **ნიკოლოზ გამყრელიძე** უნდა წარმოვიდგინოთ, როგორ ცდილობს თავისი ხუთი ცირკის ცხენი გამოასწრაფოს საომარი ზონიდან: როგორც გვახსოვს რუსეთმა გარდა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისა, დასავლეთიდანაც შემოუტია საქართველოს, აფხაზეთში.

თვალწინ დაგვიდგება, აგერ უახლოეს წარსულში, კოდორის ხეობიდან, საკენის სასიკვდილო უღელტეხილიდან გასავათებულ დევნილთა ლამის უსიცოცხლო ნაკადი.

ცირკის ცხენებს კი რა, გამოდის გამართლებიათ და რაღაცნაირად ცოცხალი გადმოუყვანია ისინი ნიკოლოზს სამშვიდობოს...






CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

* * *

დიდებული ისტორიული ანაკოფია...

წარმოგიდგენთ საინტერესო დოკუმენტს:



ეს სურათი აღმოვაჩინეთ ჩაქვის საუფლისწულო მამულის ფონდში. როგორც ჩანს მას იყენებდნენ ღია წერილების ბლანკად.

აქვე მოგვყავს მდიდარი მასალა ახალი ათონის შესახებ ვიკიპედიიდან: დამერწმუნებით, არასოდესაა ზედმეტი ჩვენი ისტორიის გახსენება... რაზომ ღია ჭრილობაც არ უნდა იყოს ის:

ახალი ათონი (აფხ. Афон Ҧыц) (ყოფ. ფსირცხა - გადაერქვა 1948 წლის 3 სექტემბერს) — ქალაქი და ზღვისპირა კლიმატური კურორტი საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გუდაუთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, შავი ზღვის ნაპირას, მდინარე ფსირცხის შესართავში. ზღვის დონიდან 50 მ. გუდაუთიდან დაშორებულია 7 კმ-ით, ხოლო სოხუმიდან — 18 კმ-ით.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით (2008 წლის 23 ოქტომბერი) ტერიტორია განსაზღვრულია, როგორც რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად ოკუპირებული. დადგენილია ამ ტერიტორიების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი.

სახელი მომდინარეობს ახალი ათონის მონასტრის სახელწოდებიდან. VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორების ცნობით ადრე მის ადგილზე ქალაქი ტრაქეა მდე-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ბარეობდა. მისი ეს სახელწოდება ძველი ქართული „უღაღის“ (გაუვალი ადგილის) ბერძნული თარგმანია. შუა საუკუნეებში მას ანაკოფია ეწოდებოდა. ამ სახელით „ქართლის ცხოვრებაში“ იგი VIII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება. 1875 წელს ათონის მთის ძირას, ძველი ანაკოფიის ადგილას დაარსდა ახალი ათონის მონასტერი (აქედან წარმოსდგება ქალაქის სახელი). XIX საუკუნიდან მას ფსირცხა ეწოდება, თუმცა ზოგიერთ რუკაზე კვლავ შემონახულია მისი სახელწოდება ანაკოფია.

1938 წლის 16 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კურორტი ფსირცხა გამოეყო ფსრიცხის სასოფლო საბჭოს, გარდაიქმნა დაბად და შეიქმნა ფსირცხის სადაბო საბჭო.

1948 წელს ფსირცხას ახალი ათონი ეწოდა. 1952 წელს შეიქმნა ახალი ათონის რაიონი, რომელიც მომდევნო წელს კვლავ გუდაუთის რაიონს შეუერთდა. ქალაქად გამოცხადდა 1987 წელს. მოსახლეობა 4,3 ათასი (1989 წ.).

ივერიის მთის თავზე შემორჩენილია ანტიკური ტაძრისა და ძველი ციხესიმაგრის ნანგრევები. ამავე მთის ძირას არის ახალი ათონის მღვიმე, რომლებიც მასობრივი ტურიზმის ობიექტია. აქ არის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

***

იმპერიის ხელში სავალალო დღეში ჩავარდნილი ტაძრები

ამ რუბრიკით წარმოგიდგენთ აფხაზეთთან დაკავშირებულ ფილიანტებს. ყველამ ვიცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, ოკუპანტებმა აფხაზეთის არქივი მთლიანად გადაწვეს, თუკი რამე გადარჩა, ჩვენ ხელი აღარ მიგვიწდება... აქედან გამომდინარე სანთლით დავეძებთ ნებისმიერ მასალას საქართველოს სხვა არქივებში, ჩვენს შემთხვევაში, აჭარის არქივში, რათა გამოვამზეუროთ და უმცირესით მაინც შევავსოთ ეს აუნაზღაურებელი დანაკარგი. ზოგჯერ მოგეჩვენოთ შეიძლება, რომ ესა თუ ის დოკუმენტი არაა მნიშვნელოვანი, მაგრამ გვერწმუნეთ, ჩვენი ისტორიისთვის, აფხაზეთის მხარის ჟამთაღმწერლობისთვის ის რაღაც კუთხით ყოვლეთვის ფასდაუდებელია.

ამჯერად წარმოგიდგენთ დოკუმენტს რომელიც ეხება ახალი ათონის მონასტერს. იგი ისტორიულ ანაკოფიაში მდებარეობს, შემდეგ მას ამ წმინდა მიწაზე გვიან დამკვიდრებულმა ხალხმა მე- 19 საუკუნიდან **ფსირცხა** უწოდა, თუმცა ძველი სახელიც ხშირად ფიგურირებდა რუკებზე. 1948 წლიდან **ფსირცხას ახალი ათონი** ეწოდა.

საარქივო დოკუმენტი წარმოადგენს ახალი ათონის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ილარიონის პასუხს ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი - ბათუმის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის საკათედრო ტაძრისთვის შესაგროვებელ შემწეობასთან დაკავშირებით საქვეყნოდ გაცხადებულ თხოვნაზე.

თხოვნა თავისთავად საკმაოდ დამასევდიანებელი იყო: ბათუმში 18 წელი ვეღოდებოდით საკათედრო ტაძრის მშენებლობას და სამწუხაროდ ის მთლიანად

CC BY-ND 4.0


Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

სამხედრო უწყებას გადაეცაო, ხოლო ქალაქელები დავრჩით ძველი ტაძრის იმედად, რომელიც ძველი თურქული ყაზარმიდანაა აშენებული (!) და არის სავალალო მდგომარეობაშიო! მოკლედ ეს აშკარად ცალკე დასაწერი თემაა, მხოლოდ მცირე შინაარსსაც წარმოგიდგენთ დოკუმენტიდან, რომ კონტექსტი გავიგოთ: გადავწყვიტეთ კაპიტალური რემონტი ჩავუტაროთ ბათუმის ამ საკათედრო (!) ტაძარს და აბა თქვენ იცით ბათუმელებო და საერთოდ ... ვისაც კი ხელი მიგიწვდებათ თვალუწვდენელ იმპერიაშიო.... შეგვეწიეთო... სწორედ ამის საპასუხოდ გამოიგზავნა ეს დოკუმენტი აფხაზეთიდან, კერძოდ კი ისტორიული ანაკოფიიდან (ასს ცსა, ფონდი ი-55, აღწერა -1; საქმე-21, ფურცელი.20).

დოკუმენტით ირკვევა რომ ახალი ათონიდან ბათუმის ტაძარს გამოეგზავნა შემწეობა 5 მანეთის ოდენობით. იქვე აღნიშნულია რომ, სამწუხაროდ ფართო მოსახლეობიდან ვერ მოხერხდებოდა ქველმოქმედება, ვერავინ ვერ შეძლებდა შემწეობის გაღებას... რადგან ისედაც ხშირად გვიწევს ასეთი შემწეობის აღმოჩენა უამრავი ვინმესთვისო...

„მის აღმატებულებას, ბათუმის სამხედრო გუბერნატორს.

თხოვნასთან დაკავშირებით, გვაქვს პატივი ვამცნო თქვენს აღმატებულებას, რომ ბათუმის საქალაქო ტაძრის განახლებისთვის ჩვენი მონასტრიდან შემოწირულია ხუთი (5) რუბლი, ის ფოსტით გადაირიცხა ბათუმის ხაზინაში. სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებებისგან, გაჭირვებული ტაძრებისგან და კერძო პირებისგან დახმარების თაობაზე ჩვენთან ყოველდღიურად შემოსული მრავალი თხოვნის გამო, და ასევე საკუთარი დიდი საძმოს და სამშენებლო საჭიროებების გათვალისწინებით, მონასტერს არ აქვს [დამატებითი] შეწირულობის გაღების შესაძლებლობა. ამასთანავე, არც ჩვენს საძმოში გააჩნია ვინმეს რაიმე საკუთარი სახსრები, ხოლო გარეშე პირთაგან არავინ არის ისეთი, ვისაც შეწირულობისთვის ხელმოწერის ფურცელს შევთავაზებდით.



ახალი ათონის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილარიონი

№ 713. 1913 წლის 28 ოქტომბერი ახალი ათონი“ (ასს ცსა, ფონდი ი-55, აღწერა -1; საქმე-21, ფურცელი 21).

აშკარად არ იყვნენ სახარბიელო მდგომარეობაში ჩვენი ათასწლოვანი ტაძრები საქართველოს ორიათასწლოვანი ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ.

უჭირდა იმპერიას, ფრიად უჭირდა, სად ეცალათ ერთმორწმუნეებს ტაძრებისთვის... 1913 წელი იდგა და ემზადებოდნენ პირველი მსოფლიო ომისთვის და კიდევ ახალი, თვალუწვდენელი მიწების დასაპყრობად... რომ იქაც გაეცამტვერებინათ არსებული სალოცავები.

***

„რას მოგვითხრობენ ბრიტანელი კონსულები?!“

„**200 წლის წინ აჯანყებული ბათუმელები და გაძევებული აღა“**. ვეღარ მოითმინეს ბათუმელებმა, არ იყვნენ მორჩილნი და მორჩილებას ჩვეულნი, თავისუფალი და ამაყი სული იყო მათში დასაბამიდან და გააძევეს აღა ბათუმიდან.

აღა კიდევ მმართველი გახლდათ ბათუმის, ქალაქისთავის გაგებით. გაგანია 1830 წლის 4 ოქტომბერია. ორასი წლის წინ რა, რაღა აკლია?! არა, ზუსტად როდის გააძევეს არ ჩანს, თუმცა ამ დროის მიდამოებში კი ხდება ეს ამბავი.



სერ რობერტ გორდონი

საიდან ვიცით?

კი ბატონო, ლეგიტიმური კითხვაა: ყველას მოგვეხსენება მეტნაკლებად, რომ ამ დროს ჯერაც არ იყო შემოერთებული აჭარა დედასამშობლოს და შესაბამისად მაგ პერიოდის ისტორიაცა და ისტორიის წყაროებიც სანთლით საძებარია. ჰოდა, მოვიძიეთ ერთ-ერთი ფრაგმენტი, სანთლით. სანთლის შუქმა კი გაანათა ტრაპიზონში ბრიტანეთის ვიცე კონსულ ჯეიმს ბრანტის (Ja.s Brant V.C) წერილი მისი აღმატებულების, კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის ელჩის სერ რობერტ გორდონისადმი (Sir Robert Gordon).

კონსულის ინფორმაციით „ლიმანის (ნავსადგურის) მოსახლეობა, ლაზეთის მხარეში, რომელიც დაახლოებით 50 მილის დაშორებით მდებარეობს აღმოსავლეთით, უარს ამბობს ფაშას მიერ მოთხოვნილი გადასახადების გადახდაზე. სავარაუდოდ საკითხი მოლაპარაკებებით მოგვარდება. ბათუმის აღა მოსახლეობამ გააძევა მმართველობიდან, რომელიც მან თავისი ძალადობრივი ქმედებებით განარისხა. იგი გაემგზავრა ყარაჰისარში, რათა საჩივრით მიემართა ემინ ფაშასთვის“ //„The people of Lermenshee(?) district of the Lazi about 50 miles to the East refuse to pay the Contributions demanded by the Pasha. In this instance as in the former cases the matter will be probably settled by mutual concessions. The Aghar of Batoum was expelled


CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

his Government by the populace, which he had exasperated by his oppressive Conduct. He went to Kara Hissar to make his complaints to Emin Pasha.“

სამწუხაროდ გაძევებული აღას სახელი და გვარი უცნობია. ცნობილი კი ისაა, რომ მას მოუკურცხლავს ემინ ფაშასთან, საკუთარი თანაქალაქელების დასაბეზღებლად.

9 ნოემბრის მოხსენებიდან კი ირკვევა, რომ საკმაოდ შავი ღრუბლები იკვრებოდა ბათუმის თავს: „ოსმან ფაშას ერთ თვეში ელოდებიან. ბათუმის აღას თანამდებობაზე აღდგენას ძალის გამოყენებით აპირებენ, რისთვისაც მას 1000 ან 1500 კაცი გაჰყვება, თუმცა ისინი ოსმან ფაშას ჩამოსვლამდე არ დაიძვრებიან; ამასობაში, მათი გადაყვანის მიზნით ხომალდები დაითანხმეს და მფლობელებისგან გარანტია აიღეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებიან...“



ასს ცსა, **ფონდი ი-83; აღწერა 1; საქმე 1; ფურცელი 7,8.**

სამწუხაროდ შემდგომი მოვლენები როგორ განვითარდა, არ ჩანს, მაგრამ ირკვევა რომ იმ ხანად ლაზეთის მხარეში და ბათუმში სიმშვიდე იყო: „ლაზების ოლქში სრული სიმშვიდეა; საკითხები, სავარაუდოდ, მეგობრულად მოგვარდა ან შეჩერებულია ოსმან ფაშას ჩამოსვლამდე“.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ვინ უწყის, ზუსტად რა სავალალო ქმედებებს გვიმალავენ მიუკვლეველი ისტორიის ფურცლები 1830 წელს ბათუმელების თავისუფლებისთვის ბრძოლის ისრტორიაში; ყოველშემთხვევაში, თუკი წავაწყდებით ბრანტის სხვა მოხსენებებში ამაზე რამეს აუცილებლად გამოვაქვეყნებთ.

***

სახელმოხვეჭილი ბათუმელები




პლ/გიგინეიშვილი (სურათი აღებულია ეროვნული ბიბლიოთეკის გვერდიდან)

რუბრიკით „სახელმოხვეჭილი“ ბათუმელები, წარმოგიდგენთ ჩვენი ქალაქის ისტორიაში გამორჩეული ექიმის, **პლატონ გიგინეიშვილის** საარქივო ფოლიანტებს - მისი ხელით დაწერილ ავტობიოგრაფიას. ვფიფქრობთ ეს დოკუმენტები საინტერესო იქნება როგორც მკვლევარებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის:

„1906 წლის 20 ნოემბერს მივიღე ექიმის წოდება, წარჩინებით დავამთავრე ნოვოროსიის უნივერსიტეტი... რუსეთ-იაპონიის ომის დროს გამგზავნეს ანაპის, შემდეგ კი ოდესის 40 საწოლიან საავადმყორფოში ექიმად, სადაც დავყავი ერთი წელი. დიპლომის აღების შემდეგ დავბრუნდი ბათუმში და დავიწყე მუშაობა ქალაქის საავადმყოფოში შტატგარეშე ორდინატორად თერაპიულ და ინფექციურ განყოფილებებში ხელფასის გარეშე, სადაც დავყავი რვა წელი. ამ დროს გაიზარდა ბათუმში ახალგაზრდა ექიმების რიცხვი და ამიტომაც დავუთმე ადგილი საავადმყოში მათ და დავიწყე კერძო პრაქტიკა. პირველ მსოფლიო ომში გამიწვიეს 221 ქვეითი პოლკის თადარიგში, 1917 წლის 20 ივლისამდე. იმავდროულად ვასრულებდი სანიტარული ექიმის მოვალეობას მიხეილის ციხესიმაგრეში. 1917 წელს მიმიწვიეს ბათუმში 80 საწოლიან საავადმყოფს მმართველად, სადაც ვიმუშავე მის დახურვამდე. საბჭოთა პერიოდში ჯანდაცვის კომისარიატმა მიმიწვია დედათა და ჩვილ ბავშვთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელად, სადაც 1922 წლამდე ვმუშაობდი. 1922 წელს დავინიშნე 70 საწოლიან საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ, სადაც ვაგრძელებ სამსახურს დღემდე. 1925 წლის 15 აპრილი.“

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026



* * *

პლატონ გიგინეიშვილთან დაკავშირებულ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **მისივე ხელით გამოწერილი რეცეპტი.** რეცეპტზე აღნიშნულია პეტკევიჩის აფთიაქი. წამალი გამოუწერია ჟღენტისათვის.



მეორე - აფთიაქის ბლანკზე განთავსებულ რეცეპტში ფიგურირებს ელიაშვილის აფთიაქი. ჩანს რომ აფთიაქარი იყო ავალიანი. რეცეპტით ექიმმა ავადმყოფ სავჩენკოს გამოუწერა წამალი ლათინური დასახელებით.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026



მესამე დოკუმენტი არის ექიმის სარეკლამო განცხადება-სავიზიტო ბარათი.



ვფიქრობთ ეს დოკუმენტებიც საინტერესო იქნება როგორც მკვლევარებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის.

ქსენია ბახტაძე

წარმოგიდგენთ ჩვენი ქალაქის ისტორიაში გამორჩეული **სელექციონერის ქსენია ბახტაძის ფოტოსურათებს.** ქსენია ერმილეს ასული ბახტაძე (6 თებერვალი [ძვ. სტ. 24 იანვარი], 1899, თბილისი — გ. 26 სექტემბერი, 1978, დაბა ჩაქვი, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი) — ქართველი სელექციონერი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1945), პროფესორი (1949), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1955) და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის (1956) აკადემიკოსი, საქართველოს (1960) და აჭარის (1966) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი (1966).

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026






* * *

ანასტასია ლომინაძე

ბუნებისმეტყველება არ ჰყვარებია **ლომინაძის ქალს** - აბა რა უნდა ვიფიქროთ, სხვა ყველა საგანში ფრიადები აქვს ჩამოწიკწიკებული, აი, ბუნებისმეტყველებაში კი - ოთხიანი. თუმცა ერთიცაა, მაშინ საკმაოდ მკაცრად იწერებოდა ნიშნები, ის კი არადა, ნიშანი ცოდნასაც კი შეეფარდებოდა, ასე რომ, ცოტა ჰიპერბოლა გამოგვივიდა თორემ, ოთხიანი ბუნებისმეტყველებაში სულაც არ ნიშნავდა მის არ სიყვარულს, მითუმეტეს არ ცოდნას.

ყოველმხრივ ნიჭიერი ჩანს მეშვიდე კლასის მოწაფე (მაშინ 18 წლისა გახლდათ) ანასტასია ლომინაძე: ფრანგული, ქართული და რუსული ფრიადზე იცის, მათემატიკაც, ფიზიკაც და ხელგარჯილობაც; ახლა ჰიგიენაში რომ ხუთიანი ყავს

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026


არცაა გასაკვირი, კეთილშობილი ქალბატონი გახლდათ: ვასილ მერაბის ძე ლომინაძის (ფოთის სამხარეო ხაზინის ტიტულიანი მრჩეველი, ბუღალტერი) ქალიშვილია.


მოკლედ, ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი მას ოქროს მედალზე დაუმთავრებია 1897 წელს და მუშაობა დაუწყია 1898-ში ახალი სენაკის ორკლასიან საეკლესიო სამრევლო სკოლაში. 1904 წელს დაინიშნა ბათუმის ქალთა გიმნაზიის კლასის ზედამხედველად იმავდროულად გახლდათ ქართული ენის მასწავლებელი. ბათუმში იმიტომ გადმოსულა, რომ მამა გადმოუყვანიათ სამუშაოდ 1901 წელს.

1915 წელს დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით პედაგოგიური მოღვაწეობისთვის. სწორედ ეს ანასტასია გახლდათ კალისტრატე ბერიძის მეუღლე. კალისტარატე კიდევ 1918-1921 წლებში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის ოფიცერი, ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის წევრი. მუშაობდა თავდაცვის მინისტრ გრიგოლ გიორგაძის მრჩევლად. ის საფრანგეთში გარდაიცალა 1926 წელს და დასაფლავებულია პერლაშეზის სასაფლაოზე.

სამწუხაროდ, არ ვიცით ანასტასიას რა ბედი ეწია, გაჰყვა თუ არა მეუღლეს პარიზში... 1916 წლიდან ვიცით რომ საკუთარი სურვილით მიატოვა გიმნაზია...


მხოლოდ ბუნებისმეტყველებაში გამოყვა ოთხიანი, მაგრამ კანონმდებლობის მიხედვით ეკუთვნოდა და მიიღო კიდევაც ოქროს მედალი...
იმედია სპეციალისტებს გამოადგებათ ეს მეტად მნიშვნელოვანი ფოლიანტები...





CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026





* * *

ირაკლი ღლონტი

ცნობილი ბათუმელი პედაგოგი გახლდათ ირაკლი ნიკიფორეს ძე ღლონტი, თაობებს რომ ასწავლიდა, მეფის რუსეთის დროიდან მოკიდებული... მაგრამ დამოუკიდებელ საქართველოშიც რომ მოუწია მოღვაწეობა და გამორჩეულადაც.

ჩვენი არქივის საცავები ინახავს ამ დოკუმენტებს და არ იქნება ურიგო გამოვამზეუროთ, მიყოლებით და საინტერესოდ, მცირე ნაწილი მაინც... ვინ იცის, იქნებ მის შთამომავლობას რამეშიც გამოადგეს გარდა იმისა, რომ მისით აშკარად იამაყებენ... და იამაყონ უნდა კიდევაც... შთამომავლობა რა, გამორჩეული ადამიანებით ყველანი ვამაყობთ ხომ?! ესენი გახლდნენ ადამიანები რომლებმაც დღემდე მოგვიტანეს ბათუმი თავისი ჯერაც შერჩენილი ღირსეული ტრადიციებით... ღირსეული ყოფა-ცხოვრებით.

დვაბზუში ასწავლიდა იმხანად, მაგრამ ორწლიან სკოლაში და ბუნებით მაძიებელ კაცს ეს რას დააკმაყოფილებდა? ამიტომაც, 1903 წლის 1 ივნისს მიმართავს ბათუმის გამგეობას, თხოვნით ბათუმის ახლად გახსნილ პუშკინის სახელობის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში მეორე მასწავლებლის ადგილი მიბოძეთო. ამ დროისთვის გარდა მასწავლებლისა, ოზურგეთის მაზრის, სოფელ დვაბზუს ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველიცაა.

იქვე განმარტავს, რომ ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის კურსები დავამთავრე 1895 წელს გორშიო და 9 წელია ვმუშაობ მასწავლებლადო.

ცხადია, მთლად სიტყვაზე არ ენდობოდნენ ბატონ ირაკლის, არ იყო ასე საქმე მაშინ მით უფრო, მაგრამ დოკუმენტებში მოგვეპოვება, ცნობილი მოღვაწის,

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

სასწავლებელთა ინსპექტორის კონსტანტინე დავითის ძე მაჭავრიანის მიერ შედგენილი საინტერესო დახასიათება, თუ ცნობა, რომელმაც 1903 წლის 9 თებერვალს დაათვალიერა დვაბზუს ეგ ჩვენთვის საინტერესო სკოლა: სასწავლებელი იმიტომ დავათვალიერე, რომ დავრწმუნებულიყავი ამ მკაცრ ზამთარში მართლაც ამდენი მოსწავლე დადიოდა თუ არ სკოლაში, 111 მოსწავლეო, წერს მაჭავარიანი.... მგონი დღესაც კია შესაშური ეს რაოდენობა... თუ ჩვენს დაცარიელებულ სოფლებს შევხედავთ, მაგრამ ეს აშკარად სხვა თემაა და ისევ მაჭავარიანს რომ დავუბრუნდეთ, წერითი სამუშაოებიც დავათვალიერეო და ზედამხედველი ირაკლი ღლონტი მართლაც სანიმუშო პედაგოგი აღმოჩნდაო და ამასვე ადასტურებსო კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი სლავინსკიცო... ჰო, 1 მარტს დაწერა ეს ცნობა მაჭავარიანმა.

ამის მერე მაჭავარიანს აქვს ასევე მოხსენება სადაც ის განმარტავს, რომ სწორედ ღლონტის მოთხოვნით აღზევებულა დვაბზუს სკოლა ერთკლასიანიდან ორკლასიანამდე (უნდა განვმარტოთ, რომ ორკლასიანი მაშინ არ ნიშნავდა ორწლიან სასწავლებელს, ეს სტატუსი მოისაზრებდა სწავლების დაახლოებით 5-6 წელიწადს)

მაჭავარიანი აღნიშნავს, რომ ირაკლი ღლონტს ჰქონია სურვილი სკოლასთან მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის კურსები გაეხსნა, რაც დიდი ალბათობით განახორციელა კიდევაც, ისე არა გადავიდოდა ბათუმში...

ბათუმში კი ის 1904 წლის პირველი სექტემბრიდანაა მასწავლებლად. მალე, 1904 წლის ბოლოს, ბათუმის თვითმმართელობაში ქალაქის დაწყებითი სასწავლებლების გამგებლადაა განწესებული.

1907 წელს, ირაკლი ღლონტი ინიშნება ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო სასწავლებლის ხელმძღვანელად. დოკუმენტს ხელს აწერს ბათუმის ქალაქისთავი, თავადი ივანე ანდრონიკაშვილი... სამ წელიწადში ხდება კაცი დირექტორი.

ისიც აღვნიშნოთ, თუ რას ასწავლიდა ეგ დიდებული ადამიანი: არითმეტიკა, ისტორია, გეომეტრია, ქართული წერა, რუსული ენა... რას იტყვით, შთამბეჭდავია ხომ?! (საარქივო სამმართველო. ფონდი ი- 30; აღწერა- 1; საქმე- 8; ფურცელი- 50)


დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, 1918 წლის 28 დეკემბერს იგი დაინიშნა ბათუმის ქართული სკოლის ხელმძღვანელად - ქალაქისთავ ჯავახიშვილის ბრძანებით (საარქივო სამმართველო. ფონდი ი- 6; აღწერა- 1; საქმე- 271; ფურცელი- 31).


1919 წელს ირაკლი ღლონტი ბათუმის ქალაქისთავმა გოლიცინმა ბათუმის საქალაქო დაწყებითი სკოლის ხელმძღვანლად დანიშნა.


ძლიერდებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა... მართლაც რომ დარჩეულები მოღვაწეობდნენ კულტურის სფეროში... სამწუხაროდ სახელმწიფოს მმართველმა ელიტამ ვერ აუბა მაშინ მხარი გამორჩეულ ქართულ კულტურას, ილიას მიერ ლიბოგამაგრებულს, მაგრამ ეგ ასევე სხვა თემაა...


CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

საბჭოთა ოკუპაციის დროს მის პედაგოგიურ მოღვაწეობას ვფიქრობთ ცალკე სტატია მივუძღვნათ ...










CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026



***

ექიმი კაცი პედაგოგად

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იყო ოზურგეთელი, ვლადიმერ ამბაკოს ძე თოხაძე. 1921 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ეროვნული ბინბლიოთეკის ვებგვერდზე დევს ბიოგრაფიული მონაცემი მასზე, სურათიც ამ ბიბლიოთეკიდანაა.

აჭარის არქივის ფოლიანტიდან კი, რომელსაც წარმოგიდგენთ, შეიძლება საფიქრალად და განსასჯელად დავტოვოთ ეს საკითხი და ვივარაუდოთ რომ 1919 წელს პატივცემულ ვლადიმერს ოდესის უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული უნდა ჰქონოდა, რადგან ამ დროს ის უკვე წარმატებით მუშაობდა ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიაში და ეს ექიმი კაცი, მედიცინის მომავალი დოქტორი, ასწავლიდა ბავშვებს არა ქირურგიას, მინერალების, ცილების, ნახშირწყლებისა და ვიტამინების ცვლას ბავშვთა ორგანიზმში, არამედ რუსულს, არითმეტიკას და ლათინურს.

ამ მოწმობიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ დიდებულადაც ასწავლიდა, რადგან ამ ოფიციალურ მოწერილობაშიც სჩანს რა გულისხმიერად, რა გულთბილადაცაა თვითონ ეს დახასიათება შედგენილი:

„როგორც მასწავლებელი და აღმზრდელი ვლადიმერ თოხაძე სდგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე... თუმცა თავისი პროფესიით იგი ექიმია, მაგრამ ამავე დროს სიჭაბუკის დროიდან დაწყებული იგი აწარმოებდა კერძო გაკვეთილების საშუალებით მოწაფეთა სწავლებას, რის მეოხებითაც, მან პრაქტიკულად შეითვისა გიმნაზიის სხვა და სხვა საგნის სწავლების მეთოდები. მისი სწავლება ცოცხალია, საქმის სიყვარულთან შეერთებული, მოწაფეები ყოველთვის დიდი ყურადღებით ისმენდნენ მის სწავლებას, რის მეოხებით მისი გაკვეთილების ჟამს, საკლასო წესრიგი სავსებით დაცული იყო. მასსა და მოწაფეთა შორის იყო დამყარებული ისეთი სულიერი კავშირი, რომელსაც ქმნიან ნამდვილი მოწოდებით პედაგოგები.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ყოვლისავე ამის მეოხებით, ვლადიმერ თოხაძეს შესაძლოა ვუწოდოთ ერთგული, საქმის მოყვარული და სწავლების მეთოდების მცოდნე პედაგოგი, რასაც გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო სიამოვნებით აღნიშნავს.“





აქვე გთავაზობთ ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემეს:

დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი 1921 წელს. 1941–1957წწ. განაგებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო პედიატრიის კათედრას; 1957–1972 წწ. ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრას; სწავლობდა მინერალების, ცილების, ნახშირწყლებისა და ვიტამინების ცვლას ბავშვთა ორგანიზმში - სხვადასხვა დაავადების დროს, პაროტიდულ მენინგიტს და სხვა; მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის ორდენი და მედლები. პედიატრი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1940), პროფესორი (1940) (საქართველო: ენციკლოპედია: ტ. IV. -თბ., 2018. -გვ.105)

სწავლული წინაპრები

რუბრიკის ფარგლებში წარმოგიდგენთ **პეტრე ფილიპეს ძე ღლონტის ატესტატსა და მოწმობას.**

პეტრე ღლონტი გახლდათ დიდგვაროვანი აზნაურის შვილი, დაბადებული 1898 წლის 29 ივნისს. 1916 წლის გამოცდებზე მიღებული დამაკმაყოფილებელი შეფასებების შემდეგ გაცემულია მოწმობა. დაცულია მისი ფოტოსურათი, რომლის სინამდვილე დადასტურებულია ბათუმის მეხუთე საპოლიციო უბნის ზედამხედველის ხელმოწერითა და სახელმწიფო ბეჭდით. სასწავლებლის სრული კურსის დასრულების ატესტატი კი გაცემულია 1918 წელს (ასს ცსა, ფ. 16, 106).

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

დამაფიქრებელია ერთი ფაქტი. არც მოწმობაში და არც ატესტატში ქართული ენა არაა მითითებული... ოკუპანტი საკუთარ სამშობლოში, საკუთარ - მშობლიურ ენაზე სწავლებას გვიკრძალავდა და რა გასაკვირი ესაა, კაცმა რომ თქვას, როცა არათუ ასი წლის წინათ, აგერ ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე მიტაცებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში აგვიკრძალა ქართულ ენაზე სწავლებაცა და საუბარიც.





Аттестатъ.

Предъявитель сего ... сынъ ... отроспособнаго, родившійся ... 19... года, обучался съ 19... г. по 19... г. и окончилъ полный курсъ ученія въ Батумскомъ высшемъ начальномъ училищѣ. При ... поведеніи оказалъ успѣхи:

по Закону Божію ...
— русскому языку и русской словесности ...
— ариѳметикѣ и началамъ алгебры ...
— геометріи ...
— географіи ...
— исторіи ...
— естествовѣдѣнію и физикѣ ...
— рисованію и черченію ...

и, сверхъ того, обучался пѣнію, физическимъ упражненіямъ и, въ качествѣ необязательныхъ предметовъ ...

а потому ему ... на основаніи ст. 51 ВЫСОЧАЙШЕ утвержденнаго 25 іюня 1912 г. Положенія о высшихъ начальныхъ училищахъ присваиваются права служебныя, по воинской повинности и по чинопроизводству, предоставленныя лицамъ, окончившимъ курсъ четырехъ классовъ мужскихъ гимназій вѣдомства Министерства Народнаго Просвѣщенія.

Гор. Батумъ, ... 1912 года.

Инспекторъ училища ...
Законоучитель ...
Преподаватели ...
Секретарь—Членъ Совѣта ...

* * *

100 წლის წინანდელი ატესტატები


ამ რუბრიკის ფარგლებში წარმოგიდგენთ ასი წლის წინანდელ და უფრო ძველ დოკუმენტებს, ატესტატებს. უმეტესობა მათგანი ფოტოებითაა და ამიტომაც ჩავთვალეთ საინტერესოდ. გარდა ამისა, ატესტატები ეკუთვნით ჩვენს თანაქალაქელებს, ჩვენს წინაპრებს, უპირატესად ძალიან ცნობილ პიროვნებებს, ზოგჯერაც არც თუ ისე სახელგანსმენილთ, მაგრამ მათი უშუალო შთამომავლებისთვის და ფართო საზოგადოებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანთ.

ვფიქრობთ, ჩვენი ერთგული მკითხველი კმაყოფილი დარჩება ამ წამოწყებით და შემოგვეხმიანება ხოლმე.

ჟურნალის ამ ნომერში გთავაზობთ ალექსანდრე ევგენის ძე ხორავას 1915 წლის მოწმობას, რომელიც სწავლობდა ბათუმის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026



Свидѣтельство

Аттестатъ.

Предъявитель сего Горова Александръ Евстафіевичъ сынъ дворянина православнаго вѣроисповѣданія, родившійся 1897 года, обучался съ 19 г. по 19 г. и окончилъ полный курсъ ученія въ Батумскомъ высшемъ начальномъ училищѣ. При поведеніи оказалъ успѣхи:

по Закону Божію удовл. 5.
— русскому языку и русской словесности удовлет. 5
— ариѳметикѣ и началамъ алгебры удовлет. 5
— геометріи удовлет. 5
— географіи
— исторіи
— естествовѣдѣнію и физикѣ удовлет. 5
— рисованію и черченію удовлет. 5

и, сверхъ того, обучался пѣнію, физическимъ упражненіямъ и, въ качествѣ необязательныхъ предметовъ

а потому ему Горова Александру на основаніи ст. 51 ВЫСОЧАЙШЕ утвержденнаго 25 іюня 1912 г. Положенія о высшихъ начальныхъ училищахъ присваиваются права служебныя, по воинской повинности и по чинопроизводству, предоставленныя лицамъ, окончившимъ курсъ четырехъ классовъ мужскихъ гимназій вѣдомства Министерства Народнаго Просвѣщенія.

Гор. Батумъ, „18" апрѣля 1915 года.

Инспекторъ училища

Законоучитель

Преподаватели


Секретарь—Членъ Совѣта

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ხელრთვები

ამ რუბრიკით დღეს წარმოგიდგენთ ცნობილი ბათუმელი ექიმის პლატონ გიგინეიშვილის ხელმოწერის ნიმუშს.



***

წარმოგიდგენთ გამოჩენილი **ბათუმელი პედაგოგის თეოფანე ვახტანგის ძე ჯაყელის ხელმოწერას.** საარქივო მასალების მიხედვით თეოფანე ვახტანგის ძე ჯაყელი გახლდათ მართლმადიდებელი, კოლეგიის მრჩეველი; დაამთავრა თბილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტი, საქალაქო სასწავლებელთა მასწავლებელის წოდებით. მუშაობას იწყებს 1881 წლის 1 ივლისს, თანამდებობაზე კი ინიშნება 1884 წლიდან, სადაც ორი წელი მუშაობდა მასწავლებლის დამხმარედ. ბათუმის საქალაქო სასწავლებელში დაინიშნა 1886 წლის პირველ სექტემბერს. 1894 წლის მონაცემით მისი ხელფასი 810 რუბლია. 1896 წელს დაჯილდოვდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით, ხოლო 1912 წელს წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით. 1912 წლის 1 სექტემბერს დაინიშნა პედაგოგიური კლასის მასწავლებლად და ხელმძღვანელად. ამავე წლის ჩანაწერში დაფიქსირებულია, რომ 18 წლის განმავლობაში შტატის მასწავლებელად, 8 წლის განმავლობაში კი სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობაზე მუშაობდა (ი-9, აღწ. 1, საქ. 20).

თეოფანე ჯაყელის ფოტო, ეროვნული ბიბლიოთეკა.





CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

***

ასი წლის წინათ

110 წლის წინ... ბათუმში, ჭავჭავაძეზე, 14 ნომერში, მეტად საინტერესო მაღაზია ჰქონია **სამსონ ნიკოლოზის ძე რუხაძეს.**

ტყავეულის, ფეხსაცმლების... ცხენისა და ეტლის აღკაზმულობის... სხვა ყველაფერთან ერთად კი თვითონ ბლანკია საინტერესო, გადახდის ქვითარი:

გემოვნებითა და გულით გაკეთებული. გულითადში კი იმას ვგულისხმობ, რომ გაგანია რუსული ოკუპაციისას, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, ქვითარზე ქართულადაც დაუტანებია წარწერა...

მაშინ, კი გახსოვთ, ჩვენს ენას სახელმწიფო სტატუსიც კი არ ჰქონდა; ის კი არა,- იდევნებოდა კიდევაც...

მან კი ლამაზად დაატანა ბლანკზე... ასე მაინც დავიცვა ენა და შესაბამისად, სამშობლო ჩვენიო...



CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

საბჭოთა ოკუპაციის დროინდელი იუმორი



CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026